ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის ოქმი № 5

ქ. ლანჩხუთი

22.06.2022
14:00 საათი

სხდომას ესწრებოდნენ: ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე **ზაზა წულაძე.**

კომისიის წევრები: გიორგი იმნაიშვილი, გიორგი ჩახვაძე, ალექსანდრე მახათაძე, ვლადიმერ ნანაძე, კარლო კვიტაიშვილი,

მოწვეული სტუმრები: საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი საზოგადოებასთან ურთიერთობის საკითხებში ლაშა სარჯველაძე, საკრებულოს აპარატის მესამე რანგის პირველი კატეგორიის უფროსი სპეციალისტი მარიამ კუპრაძე.

კომისიის სხდომას არ ესწრებოდა დეპუტატები: გოჩა ჯანაშია, კახაბერ ასკურავა, გივი ცინცაძე.

კომისიის თავმჯდომარემ ზაზა წულაძემ სხდომას გააცნო დღის წესრიგის პროექტი:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა სულაბერიძის სახელობის საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული სკვერისთვის ჩიბათელი მხედრების სახელის მინიჭების შესახებ.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

4. სხვადასხვა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დღის წესრიგის პროექტს:
მომხრე 6; წინააღმდეგი -არცერთი.

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიას გააცნო ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ მოსაწონებლად წარმოდგენილია შემდეგი პროექტები:

1. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების ასფალტობეტონის საფარით მოწყობა- სოფ. შუხუთიდან სოფ. გაგურის ცენტრამდე-4916742 ლარი;
2. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების ასფალტობეტონის საფარით მოწყობა- სოფ. გაგურის ცენტრიდან სოფ. ნაგომარის ხიდამდე-2430645 ლარო;
3. ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის აკეთის ადმინისტრაციულ ერთეულში შიდა სასოფლო გზების ასფალტობეტონის საფარით მოწყობა- სოფ. გაგურის ცენტრიდან სოფ. ზომლეთის საზღვრამდე-1998899 ლარი.

   სულ ჯამი-9346286 ლარი.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა განკარგულების პროექტს.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიას გააცნო ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. მან აღნიშნა, რომ სამსახურის ფუნქციების ძირითადი მიმართულებებია ქონების მართვა და სოფლის მეურნეობა, რომელთა გათვალისწინებითაც მოხდა შესაბამისი დებულების გაწერა.

კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ კენჭი უყარა დადგენილების პროექტს.
მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

კომისიამ მიიღო გადაწყვეტილება: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

დღის წესრიგის მესამე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის ჩიბათის ადმინისტრაციულ ერთეულში ზაზა სულაბერიძის სახელობის საჯარო სკოლის მიმდებარედ არსებული სკვერისთვის ჩიბათელი მხედრების სახელის მინიჭების შესახებ კომისიას გააცნო ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, ზაზა წულაძემ. მისი თქმით, შემოვიდა საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილის გიორგი ჩახვაძის და სოფელ ჩიბათის მოსახლეობის განცხადება, სადაც ისინი ითხოვენ სკვერისთვის ჩიბათელი მხედრების სახელის მინიჭებას.

ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიამ იმსჯელა აღნიშნულ საკითხთან დაკავშირებით და მხარი დაუჭირეს აღნიშნულ საკითხს.

სხვადასხვა საკითხები:

საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარემ, **ზაზა წულაძემ** აღნიშნა, რომ წვიმის დროს იტბორება საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა და საკრებულოს სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარებისა და ინფრასტრუქტურის კომისიების სამუშაო კაბინეტი და მოითხოვა ამ პრობლემის დროულად მოგვარება. მან ასევე აღნიშნა, რომ ნიგოითის ადმინისტრაციული ერთეულის სოფლებში (ჭყონაგორა, ჩოლობარგი და ჯაპანა) უკიდურესად დაზიანებულია საავტომობილო გზა და სასწრაფოდ საჭიროებს

რეაბილიტაციას, რადგან სასწრაფო დახმარების ავტომობილები ვერ მიდიან მოსახლეობამდე.

კომისიის წევრმა **ალექსანდრე მახათაძემ** აღნიშნა, რომ სასწრაფოდ მოსაწესრიგებელია შარშანდელი სტიქიის შედეგად დაზიანებული ხიდები, რადგან მოსახლეობა ვერ ახერხებს საკუთარ ეზოში შესვლას და წლის მოსავლის დაბინავებას.

კომისიის წევრმა **კარლო კვიტაიშვილმა** აღნიშნა, რომ ქალაქის ცენტრალური გზის გასწვრივ არასრულფასოვნად არის გაკეთებული ტროტუარები. კერძოდ, არ არის გაკეთებული სანიაღვრე არხზე გადასასვლელი ჟორდანიას და გვარჯალაძის ქუჩების კვეთაში, ასევე ჟორდანიას და კოსტავას კვეთაში.

ამით კომისიის სხდომამ მუშაობა დაასრულა.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების
საკითხთა კომისიის თავმჯდომარე: / ზაზა წულაძე/

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის,
ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის
სხდომის დასკვნა №5

22.06.2022 წელი
14.00 საათი

მოგახსენებთ, რომ მიმდინარე წლის 22 ივნისს მოწვეულ იქნა ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის სხდომა.

სხდომამ განიხილა დღის წესრიგით გათვალისწინებული შემდეგი საკითხები:

1.„ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

2. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტის განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

3. „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის სოფელ ჩიბათის მცხოვრებთა კოლექტიური განხადების“ განხილვა.

/მომხსენებელი: ზაზა წულაძე/

დღის წესრიგის პირველი საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტში 2022 წელს განსახორციელებელი ინფრასტრუქტურული პროექტების მოწონების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

დღის წესრიგის მეორე საკითხი: „ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის მერიის ქონების მართვისა და სოფლის მეურნეობის სამსახურის დებულების დამტკიცების შესახებ“ ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების პროექტი კომისიის წევრების მიერ მიღებული იქნა შენიშვნების გარეშე.

მომხრე 6, წინააღმდეგი არცერთი.

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს
ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი
რესურსების საკითხთა კომისიის თავმჯდომარე ზაზა წულაძე

ლანჩხუთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს ეკონომიკის, ქონების მართვისა და ბუნებრივი რესურსების საკითხთა კომისიის წევრთა დასწრების სარეგისტრაციო ფურცელი

22.06. 2022 წელი
14:00 საათი

	სახელი, გვარი	გამოცხადების დრო	ხელმოწერა
1	ზაზა წულაძე	13^45	
2	ალექსანდრე მახათაძე	13^48	
3	კარლო კვიტაიშვილი	13^55	
4	გიორგი იმნაიშვილი	13^46	
5	ვლადიმერ ნანაძე	14^00	
6	გიორგი ჩახვაძე	13^44	
7	გივი ცინცაძე	არ გამოცხადებულა	
8	კახაბერ ასკურავა	არ გამოცხადებულა	
9	გოჩა ჯანაშია	არ გამოცხადებულა	